

**თსსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა
ჩარიცხვის შესახებ**

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის შესაბამისად “საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების სიის დამტკიცების შესახებ” და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 14 მაისის 1491 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან სექტორზე ჩარიცხულ იქნას შრი-ლანკის მოქალაქე- ამრა ჰარუნ.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2012 წლის 25 მაისამდე.
3. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ქართულენოვან სექტორზე ჩარიცხულ იქნას რუსეთის ფედერაციის მოქალაქე- ნინა ნინუა.
4. ამ ბრძანების მესამე პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2012 წლის 1 ოქტომბრამდე.
5. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან სექტორზე ჩარიცხულ იქნას ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქე- ნნამდი ტემპლე იჰენაკა.
6. ამ ბრძანების მეოთხე პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2012 წლის 1 ნოემბრამდე.
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტების სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს და უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს გ. გიორგობიანს.